ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდაწყლის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის წმინდაწყლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, გაგრძელდეს წმინდაწყლის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს წმინდაწყლის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

პროექტი

72.16.27.047
72.16.27.044
72.16.27.045
72.16.27.103
72.16.27.102
72.16.27.116
72.16.09.152
72.16.09.156
72.16.09.644
72.16.09.766
72.16.09.798
72.16.09.799
72.16.09.149
72.16.27.020
72.16.09.742
72.16.27.113
72.16.09.147
72.16.27.196
01.72.58.014.016
01.72.58.013.002
72.16.27.005
72.16.27.035
72.16.09.177
72.16.09.176
72.16.28.117
72.16.28.325
72.16.28.345
72.16.28.303
72.16.09.250
72.16.09.244
72.16.09.998
72.16.28.315
01.72.58.009.021
72.16.09.311
72.16.26.347
01.72.58.009.008
01.72.58.009.006
72.16.28.207
72.16.28.200
72.16.28.153
01.72.58.009.021
72.16.26.318
72.16.26.336
72.16.26.332
72.16.09.516
01.72.58.004.001
01.72.58.004.001
01.72.58.004.001
01.72.58.004.001

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

10 / მარტი / 2025 წ.

KA011722676485525

№ **52767**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 7 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M25002751 განცხადებით მომართა მოქალაქე თინათინ მუშკუდიანმა (პ/ნ:01026007886), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ლისი, სოფელი აგარაკის ტერიტორია (საკადასტრო კოდით N 72.16.09.787).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 72.16.09.787) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

(დანართი: 1 გვერდი)

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032509719**
თარიღი: **07/04/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 11 მარტის საქმე #06-03250708-03 დაკავშირებით, რომლითაც თინათინ მუშკუდიანის M25002751 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია ვაკის რაიონში, აგარაკის ტერიტორიაზე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება (ს.კ.72.16.09.787).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდაწყლის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი